



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2014 წლის 16 ივლისის
 № 1234 დადგენილებით
მოდულიზებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2019 წლის 22 ივლისის
 № 01-05-04/211
 დადგენილებით

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

მეცხოველეობა
Animal Husbandry

ფაკულტეტი

აგრარული მეცნიერების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი
Agricultural and Biosystems Engineering, Faculty of Science

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

პროფესორი მანანა ცინცაძე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

<p>მეცხოველეობის მაგისტრი (Master of animal husbandry)</p> <p>მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში.</p>

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩარიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_test_meczoveleoba_19_SD.pdf გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონსტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 15 კვირა. სტუ-ს რექტორის მიერ სემესტრის დაწყებამდე გამოიცემა და ვებგვერზე ქვეყნდება აკადემიური კალენდარი.

კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს.

სასწავლო კომპონენტი - 75 კრედიტი კვლევითი კომპონენტი 45 კრედიტი. კვლევითი კომპონენტი მოიცავს სამაგისტრო კვლევის პროექტს - პროსპექტუს 5 კრედიტი თეორიულ/ექსპერიმენტულ კვლევას/კოლოკვიუმს 10 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა 30 კრედიტი.

პირველი წლის პირველ სემესტრში - მაგისტრანტი სწავლობს 6 სავალდებულო 5 კრედიტიან სასწავლო კურსს, ჯამში 30 კრედიტი.

პირველი წლის მეორე სემესტრში - მაგისტრანტი სწავლობს 4 სავალდებულო 5 კრედიტიან სასწავლო კურსს და გადის სასწავლო პრაქტიკას (1) - 5 კრედიტის ოდენობით. ასევე ასრულებს პროექტ - პროსპექტუს რომელიც მოიცავს 5 კრედიტს ჯამში 30 კრედიტი.

მეორე წლის პირველ სემესტრში - მაგისტრანტი სწავლობს 3 სავალდებულო 5 კრედიტიან სასწავლო კურსს და გადის სასწავლო პრაქტიკას (2) 5 კრედიტის ოდენობით. ასევე აქვს თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/ კოლოკვიუმი, რომელიც მოიცავს 10 კრედიტს ჯამში 30 კრედიტი.

მეორე წლის მეორე სემესტრში - მაგისტრანტი ასრულებს და იცავს სამაგისტრო ნაშრომს 30 კრედიტი.

ბრძანებას მაგისტრანტის ხელმძღვანელისა და სამაგისტრო ნაშრომის დასახელების შესახებ ადგენს დეკანატი და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმის შესაბამისად. მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმა იხილეთ http://gtu.ge/pdf/magistraturis_debuleba_danarTi_3.pdf

კვლევითი კომპონენტი - მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტები მოიცავს 45 კრედიტს. მისი სავალდებულო ელემენტებია: სამაგისტრო კვლევის პროექტი/ პროსპექტუსი (5 კრედიტი). თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/ კოლოკვიუმი (10 კრედიტი). სამაგისტრო ნაშრომების დასრულება და დაცვა (30 კრედიტი). მაგისტრანტი კვლევით კომპონენტს ასრულებს სამაგისტრო ნაშრომის თემის მიხედვით, რომელიც სრულდება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და თანამშრომლობის მემორანდუმებით განსაზღვრულ შესაბამისი პროფილის ორგანიზაციაში.

სამაგისტრო კვლევის პროექტი/ პროსპექტუსი ფასდება მაქსიმუმ ერთჯერადად 100 ქულით.

სამაგისტრო კვლევის პროექტი/ პროსპექტუსის შეფასების კრიტერიუმები და სკალები მოცემულია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში (დანართი 4) სტუ-ს ვებ გვერდზე:

http://gtu.ge/pdf/magistraturis_debuleba_danarTi_4.pdf

თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა - კოლოკვიუმს მაგისტრანტი იწყებს სწავლების მეორე წელს, მესამე სემესტრში და გულისხმობს სამაგისტრო თემასთან/მის ცალკეულ ნაწილთან დაკავშირებული მასალის წარმოდგენას და პრეზენტაციას. კოლოკვიუმზე მან უნდა წარმოაჩინოს, რა მოცულობითა და სიღრმითაა გამოკვლეული კონკრეტული საკითხი, წარმოადგინოს მიღებული შედეგები.

კოლოკვიუმის ძირითადი მიზანია მაგისტრანტის ცოდნის სისტემატიზაცია, გაწეული მუშაობის შედეგების წარმოდგენა/პრეზენტაცია, კვლევის თანამედროვე მეთოდების დაუფლება, მუშაობის დროს წამოჭრილი საკითხების დამოუკიდებლად ჩამოყალიბება და გადაჭრა. პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის აუცილებელი უნარის გამომუშავება.

კოლოკვიუმის შეფასების მიზნით კვლევის შედეგები შესაბამისი სასწავლო სემესტრის დასრულებამდე (არაუგვიანეს მე-15 სასწავლო კვირისა) წერილობით წარედგინება ფაკულტეტის დეკანს, რომელიც ქმნის 3-5 კაცისაგან შემდგარ კომისიას. კომისიაში უნდა

შევიდნენ შესაბამისი მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები. კოლოკვიუმის შეფასება ხდება 5 კრიტერიუმის მიხედვით: ჩატარებული კვლევის მეთოდებისა და მიმართულების შესაბამისობა დასმულ პრობლემასთან, ჩატარებული კვლევის ხარისხი, ჩატარებული კვლევის საფუძველზე დასკვნის გაკეთება, კვლევის შემდგომი მიმართულების განსაზღვრა, თემის წარდგენის უნარი.

კოლოკვიუმის შეფასების კრიტერიუმები და სკალები მოცემულია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში სტუ-ს ვებ გვერდზე:

http://gtu.ge/pdf/magistraturis_debuleba_danarTi_4.pdf

საკვალიფიკაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა-დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომის წარდგენის, საჯარო დაცვისას საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულით. აუცილებელია მისი საჯარო დაცვა. საკვალიფიკაციო ნაშრომის საჯარო დაცვას აფასებს 5-7 წევრისაგან შემდგარი საგამოცდო კომისია 100 ქულიანი შეფასების სისტემით, შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად: საკვლევი პრობლემის აღწერა, აქტუალობა, პრაქტიკული მნიშვნელობა - შეფასება 4 ქულამდე; საკვლევი თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის ანალიზი - შეფასება 4 ქულამდე; კვლევის მეთოდების გამოყენება - შეფასება 4 ქულამდე; ჩატარებული კვლევის შედეგების განსჯა - შეფასება 4 ქულამდე; ჩატარებული კვლევის საფუძველზე დასკვნის გაკეთება - შეფასება 4 ქულამდე; ნაშრომის გაფორმების ხარისხი და მისი წარდგენის უნარი ხარისხი - შეფასება 5 ქულამდე.

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია მოცემულია სტუ-ს ვებ გვერდზე:

http://gtu.ge/pdf/magistraturis_debuleba_danarti_5.pdf

საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და სკალები მოცემულია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში სტუ-ს ვებ გვერდზე: http://gtu.ge/pdf/magistraturis_debuleba_danarTi_4.pdf

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ“ მოცემულია სტუ-ს ვებ-გვერდზე: http://gtu.ge/pdf/magistraturis_shesaxe_debuleba_2019_3.pdf

პროგრამის მიზანი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს კონკურენტუნარიანი მეცხოველეობის მაგისტრი. მან უნდა შეძლოს თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე მეცხოველეობის სფეროში წარმატებული მუშაობა.

მაგისტრს შეეძლება ასევე მულტიდისციპლინურ გარემოში მეცხოველეობაში არსებული ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.

იმუშაოს დამოუკიდებლად, როგორც კვების, ისე საკვების გადამამუშავების ტექნოლოგიის გასაუმჯობესებლად, შექმნას ახალი კომბინირებული საკვების რეცეპტი სხვადასხვა სახეობის სასოფლო-სამეურნეო ცხოველების პროდუქტიულობის გასაუმჯობესებლად და შექმნილი პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად.

მაგისტრს შეეძლება მოშენების მეთოდების გამოყენებით საფუძველი ჩაუყაროს ახალი ჯიშების შექმნას. გამოიყენოს ახალი მეთოდოლოგიები და ინოვაციები გამოყვანილი ჯიშების დასამკვიდრებლად, ასევე ფართოდ გამოიყენოს მეცხოველეობაში ხელოვნური დათესვის თანამედროვე მეთოდები, რაც მეცხოველეობას უფრო მომგებიანს და რენტაბელურს გახდის.

მაგისტრს ასევე შეეძლება თანამედროვე ინოვაციების ყველა სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ფერმების აგებაში დიდი წვლილი შეიტანოს და მიიღოს მონაწილეობა ყველა ზოოჰიგიენურ პრამეტრების დაცვაში, რაც ხელს შეუწყობს ცხოველთა პროდუქტიულობის გაზრდას და ცხოველი დაცული იქნება სხვადასხვა საშიში დაავადებებისაგან.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

ხსნის მეცხოველეობის დარგში ღრმა და სისტემური ცოდნის ფორმირებას, აფასებს დარგში არსებულ პრობლემებს და აღწერს მათი გადაჭრის გზებს. შეუფერხებლივ აყალიბებს სამუშაო სტრატეგიას, განიხილავს და ანახორციელებს მეცხოველეობის სხვადასხვა მიმართულების ობიექტების ექსპოლოატაციაში მიღების გეგმებს, განსაზღვრავს და დამოუკიდებლად წარმართავს ინოვაციურ საქმიანობას.

არჩევს მეცხოველეობის დარგში ახალი, გაუთვალისწინებელი და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედების უნარს. აღმოაჩენს და ეფექტურად იყენებს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტას ახალი, ორიგინალური გზების მოძიებით. მიღებული ცოდნით მანიპულირებს რათა დამოუკიდებლად განახორციელოს კვლევები უახლესი მეთოდების და მიდგომების გამოყენებით და აყალიბებს სტრატეგიულ გეგმებს.

ამზადებს დარგში ახალი ცოდნის მიღების საშუალებების დამოუკიდებლად მოძიებას, სწავლის პროცესის ათვისების თავისებურებებს. იცავს პროფესიულ ეთიკას და აქვს მიზანმიმართული მეცნიერული ხედვა.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

- ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული
 პრაქტიკა საკურსო სამუშაო/პროექტი სამაგისტრო ნაშრომი კონსულტაცია
 დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამალღებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

2. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

3. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

4. **შემთხვევების შესწავლა (Case study)** – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ეს შეიძლება იყოს გენეტიკური რესურსის მონიტორინგის კონკრეტული საკითხის განხილვა.

5. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვებმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს

დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

6. **ანალიზის მეთოდი** – გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

7. **სინთეზის მეთოდი** – გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

8. **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.** ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

9. **წერითი მუშაობის მეთოდი** – რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

10. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

11. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

12. **პრაქტიკული მუშაობა** - დანიშნულებაა კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ამოცანათა გადაწყვეტის მეთოდიკაზე.

13. **პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია** – პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დეტალური ინფორმაცია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესის შესახებ მოცემულია სტუ-ს ვებ გვერდზე:

http://gtu.ge/pdf/magistraturis_debuleba_danarTi_4.pdf

დასაქმების სფერო

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- მეცხოველეობის ფერმები;
- მეფრინველეობის ფაბრიკები;
- კომბინირებული საკვების დამამზადებელი საამქროები;
- რძის კომბინატები;
- ხორც - პროდუქტების კომბინატები;
- ზოოლოგიური პარკი.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 21

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
	სასწავლო კომპონენტი:					
1	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური) ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული)	არ გააჩნია	5			

	ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული) ბიზნესკომუნიკაცია (რუსული)					
2	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური) დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული) დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული) დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	არ გააჩნია	5			
3	მეცხოველეობა და პროდუქციის წარმოების ძირითადი საფუძვლები	არ გააჩნია	5			
4	მეცხოველეობაში გამოყენებული საკვები საშუალებების კლასიფიკაცია, ტექნოლოგია-თანამედროვე ინოვაციებით	არ გააჩნია	5			
5	სახორცე და მერძეული ძროხის მოშენება, კვება, ხორცის წარმოება და რძის პირველადი გადამუშავება	არ გააჩნია	5			
6	ღორის მოშენება, კვება და ხორცის წარმოება - პირველადი გადამუშავება	მეცხოველეობა და პროდუქციის წარმოების ძირითადი პრინციპები	5			
7	ცხვრის მოშენება, კვება ხორცის, მატყლის და რძის პირველადი გადამუშავება	არ გააჩნია	5			
8	ფრინველის მოშენება, კვება, კვერცხის, ხორცის წარმოება და პირველადი დამუშავება.	მეცხოველეობაში გამოყენებული საკვები საშუალებების კლასიფიკაცია, ტექნოლოგია-თანამედროვე ინოვაციებით	5			
9	ბოცვრის მოშენება, კვება. ხორცის წარმოება ტყავ-ბეწვეულის მიღება და პირველადი გადამუშავება	მეცხოველეობა და პროდუქციის წარმოების ძირითადი პრინციპები	5			
10	ცხოველური წარმოშობის საკვებში მიკრობიოლოგიური პროცესები	მეცხოველეობა და პროდუქციის წარმოების ძირითადი პრინციპები			5	
11	კომპანიონ ცხოველების. მოვლა შენახვა და თანამედროვე საკვები საშუალებების გამოყენების ტექნიკა	არ გააჩნია			5	

12	ფუტკრის პროდუქტების წარმოება და პირველადი გადამამუშავება	მეცხოველეობაში გამოყენებული საკვები საშუალებების კლასიფიკაცია, ტექნოლოგია-თანამედროვე ინოვაციებით			5	
13	ეგზოტიკური ცხოველების და ფრინველების მოვლა-მოშენება და კვება	არ გააჩნია	5			
14	საწარმოო პრაქტიკა მეცხოველეობაში 1	არ გააჩნია		5		
15	საწარმოო პრაქტიკა მეცხოველეობაში 2	საწარმოო პრაქტიკა მეცხოველეობაში 1			5	
კვლევითი კომპონენტი:						
	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი	არ გააჩნია		5		
	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი			10	
	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი				30
სულ სემესტრში:			30	30	30	30
სულ წელიწადში:			60		60	
სულ:			120			

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	ESTS კრედიტი/საათი	საათი									
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა	
1	LEH12412G1-P LEH12612G1-P LEH12212G1-P LEH12812G1-P	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური) ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული) ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული) ბიზნესკომუნიკაცია (რუსული)	5/125	15		30					2	2	76

2	LEH12512G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	5/125	15	30				2	2	76
	LEH12712G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)									
	LEH12312G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)									
	LEH12912G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)									
3	AGC17910G1-LP	მეცხოველეობა და პროდუქციის წარმოების ძირითადი პრინციპები	5/125	15	30				1	1	78
4	AGC18010G1-LP	მეცხოველეობაში გამოყენებული საკვები საშუალებების კლასიფიკაცია, ტექნოლოგია-თანამედროვე ინოვაციებით	5/125	15	30				1	1	78
5	AGC18110G1-LP	სახორცე და მერძეული ძროხის მოშენება, კვება, ხორცის წარმოება და რძის პირველადი გადამუშავება	5/125	15	30				1	1	78
6	AGC18210G1-LP	ღორის მოშენება, კვება, ხორცის წარმოება - პირველადი გადამუშავება	5/125	15	30				1	1	78
7	AGC18310G1-LP	ცხვრის მოშენება, კვება ხორცის და რძის პირველადი გადამუშავება	5/125	15	30				1	1	78
8	AGC18410G1-LP	ფრინველის მოშენება, კვება, კვერცხის და ხორცის წარმოება და პირველადი დამუშავება.	5/125	15	30				1	1	78
9	AGC18510G1-LP	ბოცვრის მოშენება, კვება, ხორცის წარმოება და პირველადი გადამუშავება	5/125	15	30				1	1	78
10	AGC18610G1-LP	ცხოველური წარმოშობის საკვებში მიკრობიოლოგიური პროცესები	5/125	15	30				1	1	78
11	AGC18710G1-LP	კომპანიონ ცხოველების. მოვლა-შენახვა და თანამედროვე საკვები საშუალებები	5/125	15	30				1	1	78
12	AGC18810G1-LP	ფუტკრის პროდუქტები და საკვები საშუალებები	5/125	15	30				1	1	78
13	AGC18910G1-LP	ეგზოტიკური ცხოველების ფრინველების მოვლა-მოშენება და კვება	5/125	15	30				1	1	78
14	AGC19010G1-R	საწარმოო პრაქტიკა მეცხოველეობაში 1	5/125				45		1	1	78
15	AGC19010G1-R	საწარმოო პრაქტიკა მეცხოველეობაში 2	5/125				45		1	1	78

პროგრამის ხელმძღვანელი

მანანა ცინცაძე

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების
ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ნინო ლომიძე

ფაკულტეტის დეკანი

გიორგი ქვარცხავა

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელთან

ირმა ინაშვილი

დამტკიცებულია

სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2014 წლის 16 ივლისის
№1234 დადგენილებით

მოდიფიცირებულია

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების
ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
ოქმი №58 22.07.2019 წ
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი ქვარცხავა

პროგრამის სწავლის შედეგი¹

სასწავლო კურსი	ხსნის მეცხოველეობის დარგში ღრმა და სისტემური ცოდნის ფორმირებას;	აფასებს დარგში არსებულ პრობლემებს და აღწერს მათი გადაჭრის გზებს;	შეუფერხებელივ აყალიბებს სამუშაო სტრატეგიას, განიხილავს და აწარმოებს მეცხოველეობის სხვადასხვა მიმართულების ობიექტების ექსპლოატაციაში მიღების გეგმებს;	განსაზღვრავს და დამოუკიდებლად წარმოართავს ინოვაციურ საქმიანობას;	არჩევს მეცხოველეობის დარგში ახალი, გაუთვალისწინებელი და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედების უნარს;	აღმოაჩენს და ეფექტურად იყენებს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტას ახალი, ორიგინალური გზების მოძიებით;	მიღებული ცოდნით მანპულირებს დამოუკიდებლად განახორციელოს კვლევები უახლესი მეთოდების და მიდგომების გამოყენებით და აყალიბებს სტარტეგიულ გეგმებს;	აშზადებს დარგში ახალი ცოდნის მიღების საშუალებების დამოუკიდებლად მოძიებას, სწავლის პროცესის ათვისების თავისებურებებს;	იცავს პროფესიულ ეთიკას და აქვს მიზანმიმართული მეცნიერული იცავს პროფესიულ ეთიკას და აქვს მიზანმიმართული მეცნიერული ხედვა.
მეცხოველეობა და პროდუქციის წარმოების ძირითადი პრინციპები	2	2	2	2	2	2	2	2	2
მეცხოველეობაში გამოყენებული საკვები საშუალებების კლასიფიკაცია, ტექნოლოგია-თანამედროვე ინოვაციებით	2	2	2	2	2	2	2	2	2
სახორცე და მერძეული ძროხის მოშენება, კვება, ხორცის წარმოება და რძის პირველადი გადამუშავება	3	3	3	3	3	3	3	3	3

¹ პროგრამის სწავლის შედეგებში მიუთითეთ შესაბამისი რიცხვები: გაცნობა - 1; გაღრმავება - 2; განმტკიცება - 3.

ღორის მოშენება, კვება, ხორცის წარმოება - პირველადი გადამუშავება	3	3	3	3	3	3	3	3	3
ცხვრის მოშენება, კვება ხორცის და რძის პირველადი გადამუშავება	3	3	3	3	3	3	3	3	3
ფრინველის მოშენება, კვება, კვერცხის და ხორცის წარმოება და პირველადი დამუშავება.	3	3	3	3	3	3	3	3	3
ბოცვრის მოშენება, კვება, ხორცის წარმოება და პირველადი გადამუშავება	3	3	3	3	3	3	3	3	3
ცხოველური წარმოშობის საკვებში მიკრობიოლოგიური პროცესები	3	3	3	3	3	3	3	3	3
კომპანიონ ცხოველების. მოვლა-შენახვა და თანამედროვე საკვები საშუალებები	3	3	3	3	3	3	3	3	3
ფუტკრის პროდუქტები და საკვები საშუალებები	3	3	3	3	3	3	3	3	3
ეგზოტიკური ცხოველების ფრინველების მოვლა-მოშენება და კვება	3	3	3	3	3	3	3	3	3
საწარმოო პრაქტიკა მეცხოველეობაში 1	2	2	2	2	2	2	2	2	2
საწარმოო პრაქტიკა მეცხოველეობაში 2	3	3	3	3	3	3	3	3	3
კვლევითი კომპონენტი	3	3	3	3	3	3	3	3	3
სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	3	3	3	3	3	3	3	3	3

¹ პროგრამის სწავლის შედეგებში მიუთითეთ შესაბამისი რიცხვები: გაცნობა - 1; გაღრმავება - 2; განმტკიცება - 3.

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა²

პროგრამის მიზნები	ხსნის მეცხოველეობის დარგში ღრმა და სისტემური ცოდნის ფორმირებას;	აფასებს დარგში არსებულ პრობლემებს და აღწერს მათი გადაჭრის გზებს;	შეუფერხებლივ აყალიბებს სამუშაო სტრატეგიას, განიხილავს და აწვდის მეცხოველეობის სხვადასხვა მიმართულების ობიექტების ექსპლოატაციაში მიღების გეგმებს;	განსაზღვრავს და დამოუკიდებლად წარმართავს ინოვაციურ საქმიანობას;	არჩევს მეცხოველეობის დარგში ახალი, გაუთვალისწინებელი და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედების უნარს;	აღმოაჩენს და ეფექტურად იყენებს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტას ახალი, ორიგინალური გზების მოძიებით;	მიღებული ცოდნით მანაჟულირებს დამოუკიდებლად განახორციელოს კვლევები უახლესი მეთოდების და მიდგომების გამოყენებით და აყალიბებს სტრატეგიულ გეგმებს;	აშუადებს დარგში ახალი ცოდნის მიღების საშუალებების დამოუკიდებლად მოძიებას, სწავლის პროცესის ათვისების თავისებურებებს;	იცავს პროფესიულ ეთიკას და აქვს მიზანმიმართული მეცნიერული იცავს პროფესიულ ეთიკას და აქვს მიზანმიმართული მეცნიერული ხედვა.
მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს კონკურენტუნარიანი მეცხოველეობის მაგისტრი. მან უნდა შეძლოს თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძვლზე მეცხოველეობის სფეროში წარმატებული მუშაობა.	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
მაგისტრს შეეძლება ასევე მულტიდისციპლინურ გარემოში მეცხოველეობაში არსებული	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓

² პროგრამის სწავლის შედეგები მონიშნეთ „✓“ სიმბოლოთი.

ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.									
იმუშაოს დამოუკიდებლად, როგორც კვების, ისე საკვების გადამამუშავების ტექნოლოგიის გასაუმჯობესებლად, შექმნას ახალი კომბინირებული საკვების რეცეპტი სხვადასხვა სახეობის სასოფლო-სამეურნეო ცხოველების პროდუქტიულობის გასაუმჯობესებლად და შექმნილი პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად.	√	√	√	√	√	√	√	√	√
მაგისტრს შეეძლება მოშენების მეთოდების გამოყენებით საფუძველი ჩაუყაროს ახალი ჯიშების შექმნას. გამოიყენოს ახალი მეთოდოლოგიები და ინოვაციები გამოყვანილი ჯიშების დასამკვიდრებლად, ასევე ფართოდ გამოიყენოს მეცხოველეობაში ხელოვნური დათესვის თანამედროვე მეთოდები, რაც მეცხოველეობას უფრო მომგებიანს და რენტაბელურს გახდის.	√	√	√	√	√	√	√	√	√
მაგისტრს ასევე შეეძლება თანამედროვე ინოვაციების ყველა სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ფერმების აგებაში დიდი წვლილი შეიტანოს და მიიღოს მონაწილეობა ყველა ზოოჰიგიენური	√	√	√	√	√	√	√	√	√

² პროგრამის სწავლის შედეგები მონიშნეთ „√“ სიმბოლოთი.

<p>პრამეტრების დაცვაში, რაც ხელს შეუწყობს ცხოველთა პროდუქტიულობის გაზრდას და ცხოველი დაცული იქნება სხვადასხვა საშიში დაავადებებისაგან.</p>									
--	--	--	--	--	--	--	--	--	--

² პროგრამის სწავლის შედეგები მონიშნეთ „√“ სიმბოლოთი.